

გამოხმაურება

ქეთევან ტომარაძე, "უსმა/USMA"-ს პრეზიდენტის წევრი,

მწერალი, მთარგმნელი

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ვიკტორ ნოზაძის თხზულებათა სრული კრებულის მე-5 ტომის, „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველების“ წარდგენა. სასიამოვნო ფაქტია, რომ გამოცემის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა სასიქადულო მეცნიერის დაბადების დღეს დაემთხვა.

ვიკტორ ნოზაძე 1893 წლის 17 სექტემბერს, საჩხერის მახლობლად, სოფელ წირქვალში დაიბადა. ქუთაისის გიმნაზიის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ მან სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო (არსებობს მოსაზრება, რომ იგი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა). სტუდენტობისას ვიკტორ ნოზაძე აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, იყო სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის წევრი, ხოლო მოგვიანებით, ემიგრაციაში ყოფნისას, მან თავისი პოლიტიკური შეხედულებები გადააფასა და ეროვნულ ნიადაგზე მყარად დადგა.

1919 წელს ვიკტორ ნოზაძე, 70 ახალგაზრდასთან ერთად, ცოდნის გასაღრმავებლად ევროპაში მიემგზავრება. ლონდონსა და ბერლინში ცხოვრებისა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1928 წელს იგი პარიზში დასახლდა. აქ გამალა მან უადრესად შრომატევადი ჟურნალისტიკისა და რედაქტორის საქმიანობა. აღნიშნულ სფეროში მოღვაწეობის პერიოდში მან გამოსცა ჟურნალები "ორნატი" და "კავკასიონი". სხვადასხვა დროს უშვებდა ჟურნალებს - „თეთრი გიორგი“, "ქართლოსი", "მამული".

ვიკტორ ნოზაძემ გულით ატარა სამშობლოს სიყვარული და მონატრება და დაგვიტოვა მაღალი ღონის უნიკალური შემოქმედება. ყოველ მის ნაწერში ორიგინალურად მოაზროვნე პიროვნების ლიტერატურული გემოვნება, ფართო ერუდიცია და გასაოცარი მასშტაბები იკითხება.

ვიკტორ ნოზაძის ფენომენი ღრმა შესწავლას მოითხოვს. აუცილებელია გამოიცეს მონოგრაფია, რომელშიც რელიეფურად წარმოჩნდება ემიგრაციაში მცხოვრები კაცის ბიოგრაფია, შემოქმედებითი საქმიანობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, მეცნიერის როლი რუსთველოლოგიის განვითარებაში, გამოიკვეთება მის მიერ წლების მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგად გამოქვეყნებული ნაშრომების ადგილი, ზოგადად, ქართულ მეცნიერებაში.

რუსთველოლოგიის საკითხებით ვიკტორ ნოზაძე ბერლინში, II მსოფლიო ომის დროს დაინტერესდა. ამ საქმიანობას თავად მეცნიერი "ვეფხისტყაოსნის" "ჩხრეკანს" უწოდებდა. კვლევა-ძიებათა ვრცელი ციკლი მან 6 ტომად შეკრა. აღსანიშნავია, რომ თითოეული ტომი, არამხოლოდ მკვლევართა, შოთა რუსთაველის პოემის მკითხველთა სამაგიდო წიგნად იქცა. საზღვარგარეთ შექმნილმა შრომებმა ფართო საზოგადოებამდე გვიან მიაღწია. ათწლეულების მანძილზე ვიკტორ ნოზაძის წიგნები საქართველოს ბიბლიოთეკებში აკრძალული ლიტერატურის გრიფით ინახებოდა და დაინტერესებული პირებისთვის მიუწვდომელი იყო. თუმცა ქართველი მეცნიერები ციტატებს მისი წიგნებიდან, თუკი მათ როგორღაც მოიხელთებდნენ, ხშირად იყენებდნენ ავტორის



დაუსახელებლად, რადგან ვიქტორ ნოზაძის სახელისა და გვარის ხსენება სასტიკად იკრძალებოდა. ამგვარი მიდგომის გამო, ქართველ რუსთველოლოგთა ნაშრომებს ხშირად პლაგიატის „სუნი“ ასდიოდა.

ომის შემდგომ ვიქტორ ნოზაძე, ხანგამომშვებით დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდა: ავსტრიაში, არგენტინაში, ჩილეში, ბრაზილიაში. 1960 წელს იგი ესპანეთში დასახლდა, ხოლო 1963 წლიდან თავის ძმასთან, გიორგისთან დაფუძნდა ლევილის ქართულ მამულში, აქ იყო ქართული სტამბაც და მეცნიერის სამუშაო ოთახიც.

მთელი 30 წლის მანძილზე ვიქტორ ნოზაძე მარტო, ყოველგვარი ფინანსური ხელშეწყობის გარეშე, უკიდურესად მძიმე პირობებში მუშაობდა. იგი თავისივე ხელით აწყობდა წიგნებს და შოთა რუსთაველის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებზე მეცნიერებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი, ფართო საზოგადოებისათვის მიმზიდველი შრომები გამოაქვეყნა.

ვიქტორ ნოზაძემ კვლევის ორიგინალური გზა აირჩია. იგი იზიარებდა ცნობილ რუსთველოლოგთა მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უნივერსალური ნაწარმოებია და მიაჩნდა, რომ პოემის ცალკეული შრეების გამოწლილვითი ანალიზი მკითხველს შოთა რუსთაველის სააზროვნო ველის ერთიანი სისტემის წარმოდგენაში დაეხმარებოდა. ექვსტომეულის ავტორის მიერ თითოეული წიგნის დასათაურება და შინაარსი სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა: ტ. I - „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება“, ტ. II - „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება“, ტ. III - „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება“, ტ. IV - „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებათმეტყველება“, ტ. V - „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება“, ტ. VI - „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთმეტყველება“.

„მკითხველისათვის უწყებულებაში“ ვიქტორ ნოზაძე წერდა: ვეფხისტყაოსანი მეთორმეტე საუკუნის შესანიშნავი მხატვრული თხზულებაა, და გადაუჭარბებელი თქმით, იგი ევროპისა და აზიის არცერთ ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება. მაგრამ სამწუხაროდ, ქართული პოემის ბევრი ადგილი მართლა გაუგებარია და ბნელით მოცული მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ აღარ გვესმის ამ ლექსთა მნიშვნელობა, რომელიც გარდასრული მისი მკითხველისთვის იოლად გასაგები იყო, რადგან იგი მისჯამადი განათლების ნაყოფს წარმოადგენდა. ფილოსოფია და თეოლოგია, ასტრონომია ასტროლოგია, მთელი იმჟამადი ანუ მეთორმეტე საუკუნის უმაღლესი განათლებული საზოგადოების სიბრძნის საუნჯე არის შესასწავლი და, ვინც ამას სავსებით მოახერხებს, იგი ვეფხისტყაოსნის ბევრი გაუგებარი ლექსის სიბნელეს გაჰფანტავს და მზის სინათლეზე გამოიტანს, - მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება“.

ვიქტორ ნოზაძემ რუდუნებით შრომით შესძლო და მართლაც გაფანტა „ვეფხისტყაოსნის“ „ბევრი გაუგებარი ლექსის სიბნელე“; პოემის სიღრმისეულ შრეებში განფენილ იდეებს მან უცელობლად ნათელი მოჰფინა.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველებაში“ გაანალიზებული საკითხები პოემის სიმბოლოების გახსნას ემსახურება. მკვლევარი ურთულეს გზას გადის, რათა კაცობრიობის მიერ XXII საუკუნემდე დაგროვილი სიბრძნის საღარო უშურველად გაუხსნას მკითხველს.

„ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარგმნელი გუსტავო დე ლა ტორე ბოტარო ვ. ნოზაძის შრომების მესამე ტომის შესავალ წერილში დასძენს: „ამ ნაშრომში, პოემისადმი უსაზღვრო სიყვარულის გარდა, აღსანიშნავია მოწინებულები და ფრთხილი დამოკიდებულება, ასევე პიროვნული სიმტკიცე, პატიოსნება და ღირსება“...

ღირსეული მამულიშვილის, ვიქტორ ნოზაძის შრომების საქართველოში დაბრუნებას ხელი შეუწყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ - კორესპონდენტმა გურამ შარაძემ. პროფესორ სიმონ ნოზაძის ინიციატივით ჩამოყალიბებულ „ვიქტორ ნოზაძის საზოგადოებასთან“ ერთად, იგი ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა მეცნიერის შრომების ათტომეულის გამოცემას. სამწუხაროდ, გურამმა მხოლოდ სამი ტომის რედაქტირება და გამოცემა მოასწრო.

ახალი, მე-5 ტომის გამოცემის რედაქტორია პროფესორი ნესტან სულავა.

მადლობა „ვიქტორ ნოზაძის საზოგადოებას“ და მის თავმჯდომარეს, ბატონ სიმონ ნოზაძეს დიდი მეცნიერის სახელის უკვადავსაყოფად გაწეული შრომისთვის. იმედს ვიტოვებთ, რომ საზოგადოების ძალისხმევით მე-6 ტომსაც მალე იხილავს საზოგადოება.